ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის სხდომის
ოქმი №4

დაბა ქედა **22 ივლისი, 2021 წელი**

სხდომა დაიწყო 16:20 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 16:50 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა: ამირან დევაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
როსტომ შერვაშიძე - კომისიის წევრი
უშანგი დუმბაძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა:
ვაჟა ბოლქვაძე - კომისიის წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდა:
საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ზაზა დავითაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

22.07.2021 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	როსტომ შერვაშიძე	კომისიის წევრი	
3	ვაჟა ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
4	უშანგი დუმბაძე	კომისიის წევრი	
5	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 ივლისის №23 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება **ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.** განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2021 წლის 21 ივლისი დღის 18 საათამდე.

აღნიშნულ პერიოდში ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია ქედის მუნიციპალიტეტის მერის წერილი დადგენილების პროექტში ცვლილებების შეტანის შესახებ (შემოსული დოკუმენტი №75/04; 22.07.2021 წელი.). განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ დადგენილების დამტკიცებამდე მისაღებია საქართველოს მთავრობის თანხმობა შტატების მატებასთან დაკავშირებით. შესაბამისად მიზანშეწონილია საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე გადაიდოს, და განისაზღვროს 2021 წლის აგვისტოს თვით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები კომისიის წევრებს არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხის გაგადების შესახებ წინადადება კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელება.

კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე